



შპს „მიქსორი“

ნარჩენების (ნამუშევარი ზეუბის) აღდგენა

სკრინინგის ანგარიში

ეკოლოგია

შემსრულებელი: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

ხელმოწერა:

ქ. თბილისი, 2022 წელი

სარჩევი

1.	შესავალი	3
2.	ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ	4
2.1	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა	4
2.2	ობიექტზე მიმდინარე საქმიანობა.....	8
2.3	ნარჩენების (ნამუშევარი ზეთების) აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	8
3.	საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები	11
4.	ობიექტის წარმადობა, სამუშაო რეჟიმი და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა	12
5.	ობიექტის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა	13
5.1	წყალმომარაგება.....	13
5.2	ჩამდინარე წყლების მართვა.....	13
5.3	სანიაღვრე წყლების მართვა	13
6.	ზემოქმედების შეფასება.....	15
6.1	ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა	15
6.2	ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება	15
6.3	ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება	17
6.4	ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე	18
6.5	ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე	18
6.6	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე	18
6.7	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე.....	18
6.8	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	18
6.9	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	19
6.10	კუმულაციური ზემოქმედება.....	19
7.	დანართი 1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.....	20
8.	დანართი 2 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 22	
9.	დანართი 3 - მერიის წერილი ტერიტორიის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ	27
10.	დანართი 4 - ნარჩენების მართვის გეგმა.....	29
1.	ანოტაცია.....	30
2.	ნარჩენების მართვის გეგმის მიზნები, ამოცანები და სტრუქტურა	30
2.1	გეგმის მიზნები და ამოცანები.....	30
3.	ნარჩენების მართვის გეგმის სტრუქტურა	31
4.	შესავალი	33
4.1	ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნელის შესახებ	33
5.	ნარჩენების წარმოქმნელის საქმიანობის დეტალური აღწერა	34
6.	აღწერილობითი ნაწილი.....	35
7.	დასკვნითი ნაწილი	39
7.1	ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები	39
7.2	ნარჩენების მართვის მოდელის და პრინციპების მოკლე დახასიათება.....	39
8.2.2	ნარჩენების მართვის პრინციპები.....	39

8.2.3	ნარჩენების მართვის მოდელი.....	39
7.3	წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები;	40
7.4	სეპარირების მეთოდის აღწერა.....	40
	სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევება	40
7.5	წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები.....	43
7.6	ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით.....	43
8.	ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით.....	45
9.	სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების დონის დიებები;.....	47
10.	იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომელთაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით	48
11.	ნარჩენების მართვის გეგმის ხანგრძლივობა	48

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „მიქსორის“ ნარჩენების (ნამუშევარი ზეთების) აღდგენის სკრინინგის ანგარიშს.

შპს „მიქსორი“ ერთ-ერთ წამყვანი კომპანიაა ბეტონის ბაზარზე და ლიდერია რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დარგში. კომპანიი დაარსდა 2008 წლს და უკვე 14 წელია ფუნქციონირებს.

შპს „მიქსორს“ აქვს სულ სამი საწარმო, ქ. თბილისში, გრ. ლორთქიფანიძის ქ.23-ში, ქ. თბილისში, გლდანის რაიონი ხანძთელის N1-ში (ზაჰესი) და მცხეთის რ-ნი სოფ. ქსოვრისში.

შპს „მიქსორი“ მუშაობს ბეტონის, სამშენებლო ბლოკის, რკინა ბეტონის კონსტრუქციების, რკინა ბეტონის შპალების და ქვიშა-ხრეშის, ღორღის და ქვის (ინერტული) მასალის წარმოებაზე.

კომპანიის მიქსორს აქვს უმაღლესი სტანდარტის ბეტონის ქარხნები, თანამედროვე ლაბორატორიითა და უახლესი მძიმე ტექნიკით. კომპანიას აქვს საერთაშორისო ხარისხის მართვის (ISO) სერთიფიკატი სასაქონლო ბეტონის წარმოებასა და მიწოდებაზე, რომელსაც მუდმივად ანახლებს. დაარსების დღიდან, მიქსორი აქტიურად არის ჩართული მშენებლობის სფეროში. კომპანიამ ააშენა სხვადასხვა დანიშნულების მრავალი შენობა, მათ შორის ბარამბოს შოკოლადების ქარხანა, ბამბის რიგის მულტიფუნქციური ცენტრი, ლაბორატორია ქალაქ გორში, საცხოვრებელი სახლი მეიდანზე და სხვა. კომპანიის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათი საქმიანობის გარემოს დაცვით პოლიტიკას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას. შესაბამისად, კომპანიამ, გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, ლორთქიფანიძის N23-ში არსებული საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე მდებარე საოფისე ფართის გასათბობად გამოიყენოს ნამუშევარი ზეთები, რომელიც წარმოექმნება ავტოსატრანსპორტო საშუალებებში. ამისთვის, კომპანია გეგმავს ქ. თბილისში, ლორთქიფანიძის ქ. N23-ში არსებული ოფისის ტერიტორიაზე (ს/კ: 01.19.34.003.098) განათავსოს თურქული წარმოების „UNMAK“-ის მოდელის წყალგამათბობელი დანადგარი, რომელშიც საწვავად გამოყენებული იქნება ნამუშევარი ზეთები.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის, 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ცნობები საქმიანობის განმარტორციელებლის და საკონსულტაციო კომპანიის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის მომზადებაში მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N1 – ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „მიქსორი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ხანძთელის ქუჩა, №1
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	205249827
კომპანიის დირექტორი	ილია შინაშვილი
საქმიანობის სახე	ნარჩენების აღდგენა
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N23
საკონსულტაციო კომპანიის დასახელება	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
ხელმძღვანელი და საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 593 044 044; 577 380 113; ვებგვერდი: https://ecometer.org.ge/ ელ. ფოსტა: info@ecometer.org.ge ; esec.ecometer@gmail.com
მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა #16

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ**2.1 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა**

შპს „მიქსორს“ ქ. თბილისში, ლორთქიფანიძის ქუჩა N23-ში გააჩნია მზა ბეტონის ხსნარის და რკინა-ბეტონის ნაკეთობების საწარმო. რომელიც მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.34.003.098). ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 44 042 კვ.მ-ს. ტერიტორია მოასფალტებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისგან.

ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს კომპანიის სათაო ოფისი. შესაბამისად, საოფისე შენობის გათბობის მიზნით, კომპანია გეგმავს მოაწყოს წყალგამათბობელი დანადგარი ნარჩენი ზეთების აღდგენის მიზნით, სადაც მოხდება ობიექტის მომსახურე ავტომანქანების მიერ წარმოქმნილი ზეთების აღდგენა.

აღნიშნული საქმიანობა, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ პირველი დანართის შესაბამისად განიხილება ნარჩენების აღდგენად (საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერჯის მისაღებად) და მინიჭებული აქვს R1 კოდი. წყალგამათბობელი დანადგარი განთავსდება ტერიტორიაზე არსებულ ტექნიკურ შენობაში, შემდეგ GPS კოორდინატებზე:


X	Y
490386	4613933

ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია 1 ტონიანი მიწისზედა რეზერვუარის განთავსება. რეზერვუარი განთავსდება შემდეგ GPS კოორდინატებზე:


X	Y
490393	4613930

საპროექტო ტერიტორია განთავსებულია სამრეწველო ზონაში და მის გარშემო მდებარეობს სხვადასხვა სასაწყობე და საწარმოო ობიექტები. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი დაშორებულია დაახლოებით 70 მეტრით (ს/კ: 01.19.21.002.194), უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 01.19.22.015.005) კი დაახლოებით 73 მეტრით, უშუალოდ დანადგარის განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი დაშორებულია დაახლოებით 120 მეტრით (ს/კ: 01.19.21.002.194). კომპანიის მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, დასავლეთით, მდებარეობს შპს „ევროცემენტის“ საკუთრებაში არსებული საწყობი, ხოლო საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 150 მეტრში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმო (ს/კ: 01.19.34.001.006). ტერიტორიას ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“-ს საკუთრებაში არსებული ლიანდაგები.

ტერიტორიის ფუნქციური ზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან თავსებადობის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი წარმოდგენილია დანართი N3-ში.



სურ. N2.1.1 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა



სურ. N2.1.2 - რუკა დანადგარის და რეზერვუარის განთავსების ადგილების მითითებით

2.2 ობიექტზე მიმდინარე საქმიანობა

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბეტონის საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო კოდის ფარგლებში. საწარმოს საქმიანობა მოიცავს ბეტონის ნარევის წარმოებას, რისთვისაც საწარმო უზრუნველყოფილია საჭირო დანადგარებითა და დამხმარე ინფრასტრუქტურით. საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედებს ბეტონის დამამზადებელი ორი ხაზი.

შესაბამისი ფრაქციის ქვიშა (0-5 მმ) და ღორღი (6-12, 12-20 მმ) ავტოთვითმცლელელებით შემოიზიდება საწარმოს ტერიტორიაზე და იყრება მოედანზე, საიდანაც იტვირთება ბეტონამრევების მკვებაზ ბუნკერში, შემდეგ დახურული ლენტური კონვეირით ბეტონამრევეში. ცემენტი სილოსებიდან ბეტონამრევეს მიეწოდება დახურული ფოლადის მილით. მიღებული სასაქონლო ბეტონი იტვირთება ავტობეტონმზიდებზე ან გამოიყენება ბეტონის ნაკეთობების (შპალები, ჭები, ფილები და სხვა) დასამზადებლად. საწარმოს გააჩნია 5 ერთეული (3 ერთ. 120 ტ ტევადობის, ორი 70 ტ ტევადობის) ცემენტის სილოსი.

პროდუქციის ხარისხის კონტროლი მიქსორში მუდმივი პროცესია, რომელიც პროდუქტის დასამზადებლად საჭირო ყველა კომპონენტისა და საბოლოო პროდუქტის ტესტირებას მოიცავს.

კომპანიის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ ლაბორატორიაში წამყვანი სპეციალისტები ადგენენ ყველა კომპონენტის (ცემენტი, ქვიშა, ღორღი, პლასტიფიკატორი) მახასიათებლებს და შემდეგ ბეტონის მინარევები ფორმულირდება, რომელიც ბეტონის მარკასა და ხარისხს განსაზღვრავს. კუბებად დაყალიბებული ბეტონი იზომება კუმშვაზე (სიმტკიცეზე) და გარემო პირობების მიმართ გამძლეობაზე. მხოლოდ ყველა პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში დაიშვება საცდელი ფორმულის სარეალიზაციო ბეტონის სახით წარმოება.

2.3 ნარჩენების (ნამუშევარი ზეთების) ადგენის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

შპს „მიქსორის“ საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე არსებული საოფისე შენობის გათბობის მიზნით დაგეგმილია თურქული წარმოების „UNMAK“-ის მოდელის წყალგამათბობელი დანადგარის დამოტაყება, რომელიც იმუშავებს სეზონურად, ზამთრის ცივ პერიოდში, წლის განმავლობაში ჯამურად 4-5 თვე (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და საჭიროების შემთხვევაში მარტი).

საპასპორტო მონაცემების თანახმად „UNMAK“-ის მოდელის წყალგამათბობელი დანადგარი მცირე ზომისაა და რეკომენდირებულია საოფისე და საცხოვრებელი შენობებისთვის. მასში შესაძლებელია საწვავად გამოყენებული იქნეს ნებისმიერი დიზელის საწვავი; ავტომობილების ნამუშევარი ზეთები; ნამუშევარი ტრანსმისიური სითხეები და ნებისმიერი ტიპის ჰიდრაულიკური ზეთები.

დანადგარი, როგორც ბუნებრივი აირის გათბობის ქვაბი შედგება მარტივი კომპონენტებისგან:

1. ქვაბის გამოსასვლელი;
2. უსაფრთხოების გამსვლელი;
3. საკვამური;
4. სანთური;
5. ქვაბის შესასვლელი;
6. უსაფრთხოების კარი;
7. წყლის შესვლა-გამოსვლა;
8. კარი;
9. სანთებელა;
10. სათვალთვალო მინა;
11. საკონტროლო დაფა.

ობიექტზე, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ეტაპზე დაგროვილი ნამუშევარი ზეთის შესაგროვებლად, ეზოში, იმ შენობის მიმდებარედ სადაც დაგეგმილია დანადგარის განთავსება, განთავსდება 1 ტონიანი პოლიეთილენის რეზერვუარი, რომელიც მოთავსებული იქნება ბეტონის სადგამზე. რეზერვუარის სადგამის გარშემო მოეწყობა ჯამის ფორმის ავზი, რომელიც შემოსაზღვრული იქნება ბეტონის კედლით, ავარიული დაღვრის შემთხვევაში ნავთობპროდუქტების დროებითი შეგროვების მიზნით. ავზის მოცულობა თანხვედრაში იქნება რეზერვუარის მოცულობასთან, რათა სრულად შეძლოს დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკავება. აღნიშნული რეზერვუარი ტექნოლოგიური მილსადენების საშუალებით მიუერთდება შენობის შიგნით განთავსებულ გამათბობელ დანადგარს. რეზერვუარის თავი გადახურული იქნება.

გამათბობელ დანადგარებში საწვავის მიწოდება (ნამუშევარი ზეთი) მოხდება ტუმბოს საშუალებით, რომელიც არჭურვილი იქნება მექანიკური ფილტრით. აღნიშნული ფილტრი უზრუნველყოფს საწვავის გაწმენდას მყარი მინარევებისგან, რაც ნამწვ აირებში მინიმუმამდე შეამცირებს მყარი ნაწილაკების ემისიებს.

ტუმბოში დამონტაჟებული მექანიკური ფილტრი დაექვემდებარება პერიოდულ გაწმენდას. ფილტრის გასაწმენდად მოხდება ობიექტზე ნარჩენის სახით წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების გამოყენება, რომლებიც დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში (საწვავის რეზერვუარში).

პერიოდულად გაწმენდას დაექვემდებარება ასევე სანთურში ჩამონტაჟებული საწვავის ფილტრის ბადე და გამათბობელი სისტემა, სადაც ადგილი ექნება ნაცრის დაგროვებას. გამათბობელ დადგარში წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ნაცარი (რომელიც 1 წლის განმავლობაში დაახლოებით იქნება 1 კგ) საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სახიფათო ნარჩენების უბნის ტერიტორიაზე ცალკე, მისთვის


განკუთვნილ ჰერმეტიკულ კონტეინერში და მისი მართვა განხორციელდება სახიფათო ნარჩენებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორ კომპანიას. აღსანიშნავია, რომ კომპანიას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელსაც დაემატება გამათბობელ დადგარში წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ნაცარი და განახლებული სახით წარედგინება სამინისტროს შესათანხმებლად. სხვა სახის ნარჩენის წარმოქმნა დანადგარის ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი არ არის. ამასთან, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც დამატებულია დანადგარში წარმოქმნილი ნაცარი, დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე სკრინინგის ანგარიშს.

ობიექტზე განთავსებულ გამათბობელ დანადგარში წარმოქმნილი ნამწვი აირების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა მოხდება 250 მმ დიამეტრის და 8 მეტრი სიგრძის მქონე მილის საშუალებით.

დანადგარი აღჭურვილი იქნება ავარიული შეტყობინების სისტემით და გაუმართაობის შემთხვევაში გაითიშება ავტომატურად. დანადგარს სეზონურად, ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩატარდება ტექნიკური დათვალიერება.




სურ. 2.3.1 - თურქული წარმოების „UNMAK“-ის მოდელის წყალგამათბობელი დანადგარი



სურ. 2.3.2 - დანადგარის სქემა

3. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

შპს „მიქსორის“ ბეტონის საწარმო, სადაც დაგეგმილია წყალგამათბობელი დანადგარის განთავსება მოწყობილია ქ. თბილისში, ასფალტირებული საავტომობილო გზის მიმდებარედ. შესაბამისად, ტერიტორიამდე მიდის ასფალტირებული გზა და პროექტი ახალი მისასვლელი გზის მოწყობას ან და არსებულის შეკეთება/გარემონტებას არ ითვალისწინებს (ტერიტორიამდე მისასვლელი გზა იხ. სურ. N3-ზე).



სურ. 3 - ტერიტორიამდე მისასვლელი გზა

4. ობიექტის წარმადობა, სამუშაო რეჟიმი და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა

ბეტონის საწარმო მუშაობს კვირაში 5 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით (კვირაში 40 სამუშაო საათი), ობიექტზე სულ დასაქმებულია 30 ადამიანი.

რაც შეეხება დანადგარს, დანადგარი იმუშავებს წელიწადში მხოლოდ 4-5 თვე, ზამთრის ცივ პერიოდში (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და საჭიროების შემთხვევაში მარტი). დანადგარი იმუშავებს კომპანიის მომსახურე ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოქმნილი ნამუშევარ ზეთზე. დანადგარი წლის განმავლობაში აღადგენს 6 ტონა ნამუშევარ ზეთს.

როგორც უკვე აღინიშნა, წყალგამათბობელი დანადგარის ოთახის გვერდით განთავსდება 1 ტონა მოცულობის პოლიეთილენის რეზერვუარი, რომელიც გამოყენებული იქნება ზეთის შესაგროვებლად და რომელიც ტექნოლოგიური მილსადენებით დაკავშირებული იქნება შენობის შიგნით განთავსებულ წყალგამათბობელ დანადგართან. აღნიშნული რეზერვუარის შევსება მოხდება კომპანიის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან წარმოქმნილი ნამუშევარი ზეთით. დანადგარი წლის განმავლობაში, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში (5 თვე) მოიხმარს მაქსიმუმ 6 ტონამდე ნამუშევარ ზეთს. დანადგარის დღე-ღამური წარმადობა არის 40ლ/დღე. შესაბამისად მთელი სეზონის განმავლობაში მოხმარებული ზეთის რაოდენობა იქნება $150\text{დღე} \times 40\text{ლ} = 6\,000\text{ ლ}$. აქვე აღსანიშნავია, რომ

დანადგარი, რომლის მოწყობაც დაგეგმილია, წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის გათბობის სისტემის დანადგარს, რომელიც გამოიყენება სახლების, ბინების და საოფისე ფართების გასათბობად, იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ დანადგარს შეუძლია საწვავად, ნაცვლად ბუნებრივი აირისა, გამოიყენოს ნამუშევარი ზეთები.

5. ობიექტის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა

5.1 წყალმომარაგება

ობიექტზე წყალი გამოიყენება საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისთვის, ასევე ბეტონის წარმოებაში. საწარმოს წყალმომარაგება ხორციელდება ქ. თბილისის კომუნალური ქსელიდან, რომელსაც ემსახურება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, სადაც შპს „მიქსორი“ დარეგისტრირებულია როგორც იურიდიული პირი აბონენტად. როგორც წყალმომარაგების, ასევე საკანალიზაციო წყლების მომსახურების გადახდა ხორციელდება აბონენტის ნომრის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული მომსახურება არ ითვალისწინებს ხელშეკრულების გაფორმებას.

5.2 ჩამდინარე წყლების მართვა

ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხორციელდება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში, რომელსაც როგორც უკვე აღინიშნა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, სადაც შპს „მიქსორი“ დარეგისტრირებულია როგორც იურიდიული პირი აბონენტად.

5.3 სანიაღვრე წყლების მართვა

კომპანიის ტერიტორიის გარე პერიმეტრზე წარმოიქმნება მხოლოდ სანიაღვრე წყლები ატმოსფერული ნალექების შედეგად. საწარმოო წყლების წარმოქმნას ადგილი არა აქვს, ვინაიდან საწარმოო წყალი გამოიყენება მხოლოდ ბეტონის წარმოებაში. ამასთანავე, ობიექტის ტერიტორიაზე ავტოსამრეცხაო მოწყობილი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის ეზოს ტერიტორიის დაბინძურება ნავთობპროდუქტებით და სხვა სახის სახიფათო ნარჩენებით არ ხდება. შესაბამისად, ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ითვლება სუფთად.

ობიექტის ეზოში წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ხვდება ქუჩაში არსებულ სანიაღვრე ჭაში. კომპანიას სანიაღვრე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ ხელშეკრულება გაფორმებული არა აქვს. ვინაიდან, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 20 აგვისტოს #431 დადგენილებით დამტკიცებული წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი არ ადგენს სანიაღვრე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით მართვის განსაკუთრებულ წესებს.

ამასთან, შპს მიქსორის საპროექტო ტერიტორიის სრული ფართობია 44 042 კვ.მ, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სახის შენობა ნაგებობები, როგორცაა საოფისე შენობა, საწარმოო და სასაწყობე შენობები. შენობა-ნაგებობებს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 12 600 კვ.მ უკავია. ხოლო დანარჩენი 31 400 კვ.მ უკავია ეზოს. ეზოს ტერიტორია მომანდაკებულია. სანიაღვრე წყლების რაოდენობა დათვლილია ეზოს სრულ პერიმეტრზე.

როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნულ ფართობზე მოსული ატმოსფერული ნალექები პირდაპირ შეგროვდება ეზოს გარეთ არსებულ სანიაღვრე ჭაში.

ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

- Q არის სანიაღვრე წყლების მოცულობა კუბ.მ/დღ.
- F - საწარმოს ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების შეგროვება (ჰექტარში). მოცემული საწარმოსთვის აღნიშნული ფართობი 31 400 კვ.მ-ია ანუ, 3,14 ჰა;
- H - ნალექების რაოდენობა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: ქ. თბილისის, ვარკეთილის მონაცემების მიხედვით ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 550 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 143 მმ. წვიმის საათური მაქსიმუმი იქნება - 5.95 მმ.
- K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,23.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება:

$$Q_{\text{წელ}} = 10 \times 3,14 \times 550 \times 0,23 = 3972,1 \text{ კუბ.მ /წელ.}$$

$$Q_{\text{დღლ}} = 10 \times 3,14 \times 143 \times 0,23 = 1032,746 \text{ კუბ.მ /დღლ.}$$

$$Q_{\text{სთ}} = 10 \times 3,14 \times 5,95 \times 0,23 = 42,970 \text{ კუბ.მ /სთ.}$$

6. ზემოქმედების შეფასება

6.1 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი და შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომლის მიხედვითაც ახორციელებს ნარჩენების მართვას. ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით, დანერგილია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა, რომლისთვისაც მოწყობილია ცალკე უბანი, განკუთვნილი არასახიფათო ნარჩენების ურნებისთვის და ცალკე უბანი, სახიფათო ნარჩენებისთვის, რომელიც გადახურულია, ძირი მობეჭობილია, შემოღობილია და დაცულია უცხო პირების მოხვედრისგან. როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები მარკირებულია. სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილია ჰერმეტიკულად დახურული კონტეინერები. ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები თავსდება შესაბამის მარკირებულ კონტეინერებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამის ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

რაც შეეხება დანადგარის განთავსებას, მისი მიზანია ობიექტის მომსახურე ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების გადამუშავება, შესაბამისად ის ემსახურება ნარჩენების შემცირებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ტუმბოში დამონტაჟებული მექანიკური ფილტრი დაექვემდებარება პერიოდულ გაწმენდას. ფილტრის გასაწმენდად მოხდება ობიექტზე ნარჩენის სახით წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების გამოყენება, რომლებიც დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში (საწვავის რეზერვუარში). პერიოდულად გაწმენდას დაექვემდებარება ასევე სანთურებში ჩამონტაჟებული საწვავის ფილტრის ბაღე და გამათბობელი სისტემები, სადაც ადგილი ექნება ნაცრის დაგროვებას. გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ნაცარი დაგროვდება ნარჩენებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში და შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორ კომპანიას. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე სკრინინგის ანგარიშს (იხ. დანართის N4)

6.2 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება

მიმდინარე საქმიანობის შედეგად (ბეტონის და ბეტონის ნაკეთობების წარმოება) ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა შემდეგი მავნე ნივთიერებები: ინერტული მასალის და ცემენტის მტვერი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ნახშირორჟანგი.

მზა ბეტონის ხსნარის და რკინა-ბეტონის ნაკეთობების საწარმოზე კომპანიას სამინისტროში წარდგენილი და შეთანხმებული აქვს „ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“, რომლის თანახმადაც, ობიექტის

ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არც ერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაცია ობიექტიდან უახლოეს მოსახლესთან მიმართებით არ აჭარბებს ნორმით დადგენილ მნიშვნელობებს.

როგორც უკვე აღინიშნა, წყალგამათბობელ დანადგარში სითბოს წყაროდ გამოიყენება ნახშირი საავტომობილო ზეთები, რომლის ხარჯი დღეღამეში შეადგენს 40 ლიტრს, ანუ 1,66ლ/სთ-ში. აღნიშნული დანადგარის მაქსიმალური მუშაობის ხანგრძლივობა წელიწადში არ აღემატებ 150 დღეს, ანუ 3600 საათს. წლიური მეორადი საავტომობილო ზეთის გამოყენების რაოდენობა დანადგარში ტოლი იქნება 6000 ლ/წელ, ანუ 6 ტ/წელ.

დანადგარის განთავსების შემდგომ ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია შემდეგი მავნე ნივთიერებების გაფრქვევა:

ყოველ 1 მ³ ნამუშევარი ზეთის წვისას გამოიყოფა: 7.68 % ჭვარტლი საწვავში ნაცრის მასიური წილისა, 2.28 კგ აზოტის დიოქსიდი, 0.6 კგ ნახშირჟანგი, 17.64 % გოგირდის ორჟანგი საწვავში გოგირდის მასიური წილისა, 7.92 კგ ქლორწყალბადი, 6.6 % ტყვია საწვავში ტყვიის მასიური წილისა, 0.001116 კგ კადმიუმი, 0.0132 კგ დარიშხანი, 0.0024 კგ ქრომი, 0.00132 კგ ნიკელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1მ³ ზეთი = 0.9ტონა, ანუ 1ტონა=1,111მ³ და ნამუშევარ ზეთში ნაცრის მაქსიმალური შემცველობა ტოლია 0.4 %-ის, ტყვიის შემცველობა 25 ppm, ხოლო გოგირდის მაქსიმალური შემცველობა 1 %, მაშინ სვედრითი გაფრქვევის შესაბამისი მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მავნე ნივთიერების დასახელება	სვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი (კგ/ტ გამოყენებულ ზეთზე)
	მცირე სიმძლავრის საქვაბეები
მყარინაწილაკები, PM	2.7648
აზოტისოქსიდები, NOx	2.052
ნახშირბადისოქსიდი, CO	0.54
გოგირდის ოქსიდები, SOx	15.876
ქლორწყალბადი, HCl	7.128
ტყვია, Pb	0.01485
კადმიუმი, Cd	0.001004
დარიშხანი, As	0.01188

ქრომი, Cr	0.00216
ნიკელი, Ni	0.001188

თუ გავითვალისწინებთ ცხრილში მოცემულ მაჩვენებლებს, მაშინ წლიური გაფრქვევა საქვებიდან ტოლი იქნება:

$$G_{\text{ქვარტილი}} = 6 \times 2.7648 / 1000 = 0.0166 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{NO}_2} = 6 \times 2.052 / 1000 = 0.0123 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{CO}} = 6 \times 0.54 / 1000 = 0.032 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{SO}_2} = 6 \times 15.876 / 1000 = 0.0932 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{HCl}} = 6 \times 7.128 / 1000 = 0.0427 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Pb}} = 6 \times 0.01485 / 1000 = 0.00008 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Cd}} = 6 \times 0.001004 / 1000 = 0.000006 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{As}} = 6 \times 0.01188 / 1000 = 0.00007 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Cr}} = 6 \times 0.00216 / 1000 = 0.00001 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{Ni}} = 6 \times 0.001188 / 1000 = 0.000007 \text{ ტ/წელი};$$

საქვების მილის სიმაღლე 8მ-ია, ხოლო დიამეტრი 0,25მ.

როგორც ანგარიშიდან ჩანს საქვების წლიური გაფრქვევები უმნიშვნელოა და არსებულ საწარმოსთან ან/და მიმდებარედ არსებულ სხვა საწარმოებთან კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ამასთან დანადგარი იმუშავებს წელიწადში მხოლოდ 4-5 თვე და დაგეგმილია წლის განმავლობაში მხოლოდ 6 ტონა ნამუშევარი ზეთის აღდგენა, შესაბამისად პროექტის განხორციელებით ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დანადგარის განთავსება დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებულ მცირე ზომის შენობაში და ახალი შენობის მოწყობა დაგეგმილი არ არის.

6.3 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

შპს „მიქსორის“ საწარმოო ობიექტზე დაგეგმილი თურქული წარმოების „UNMAK“-ის მოდელის გამათბობელი სისტემა განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, ამასთან დანადგარს არ გააჩნია ხმაურის წარმომქმნელი კომპონენტები. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.4 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე

საწარმო ფუნქციონირებს უკვე მრავალი წელია. ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია მრავალი წელია გამოიყენება სამრეწველო მიზნებისთვის შესაბამისად, ცხოველთა ბუდობისთვის ხელსაყრელი პირობები ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე რაიმე სახის ზემოქმედება პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი არ არის.

6.5 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

საწარმოს მთლიანი პერიმეტრი მოშანდაკებულია, დანადგარის განთავსება კი დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებულ შენობაში, რაც შეეხება მიწისზედა რეზერვუარს მოთავსებული იქნება ბეტონის ზედაპირზე, რომელიც მოთავსებული იქნება ჯამის ფორმის ბეტონის გარსაცმში, შესაბამისად ნიადაგის და გრუნტის წყლებზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტს, მდ. მტკვარს ის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1.4 კმ-ით, შესაბამისად მასზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.6 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

საწარმოს ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. ამასთან, დანადგარის განთავსება დაგეგმილია არსებულ შენობაში შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.7 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული ტერიტორიები და სსიპ „სატყეო სააგენტოს“ მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი, შესაბამისად პროექტით გამოწვეული ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე მოსალოდნელი არ არის.

6.8 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ტერიტორიის დათვალიერებით და ვიზუალური შეფასებით, არც საწარმოს და არც მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება. შესაბამისად, მასზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.9 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

როგორც უკვე აღინიშნა დანადგარში გამოყენებული იქნება ობიექტის მომსახურე ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოქმნილი ნამუშევარი ზეთები და საქმიანობის განხორციელებით სატრანსპორტო ნაკადების ზრდა მოსალოდნელი არ არის.

6.10 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმოა. ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელება, კერძოდ ობიექტისა და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე.

საწარმო განთავსებულია სამრეწველო ზონაში და მის გარშემო მდებარეობს სხვადასხვა სასაწყობე და საწარმოო ობიექტები. როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიას მზა ბეტონის ხსნარის და რკინა-ბეტონის ნაკეთობების საწარმოზე სამინისტროში წარდგენილი და შეთანხმებული აქვს „ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“, რომლის თანახმადაც, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არც ერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაცია ობიექტიდან უახლოეს მოსახლესთან მიმართებით არ აჭარბებს ნორმით დადგენილ მნიშვნელობებს.

რაც შეეხება დანადგარის განთავსებას, ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში, მსგავსი ტიპის დანადგარი განთავსებული არ არის და ამ მხრივ კუმულაციური ზემოქმედება მოალოდნელი არ არის. თუმცა სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ კომპანია საგენტოში წარადგენს განახლებულ „ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს“, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღნიშნული დანადგარის გაფრქვევები.

7. დანართი 1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან



მიწის (კატეგორიის) საკუთრების კოდი **N 01.19.34.003.098**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021381844 - 18/05/2021 17:07:36

შომწოდების თარიღი
18/05/2021 20:07:06

საკუთრების განყოფილება

შიდა თბილისი	სექტორი სამგორი	კვარტალი 34	ნაკვეთი 003/098	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუშავებელი ფართობი: 44042.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 3; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 ფართობი 53.92 კვ.მ. N2 ფართობი 28.27 კვ.მ. N3 ფართობი 644.1 კვ.მ. N5 ფართობი 14.77 კვ.მ. N6 ფართობი 113.26 კვ.მ. N7 ფართობი 14.6 კვ.მ. N8 ფართობი 3473.53 კვ.მ. N9 ფართობი 246.12 კვ.მ. N12 ფართობი 32.64 კვ.მ. N14 ფართობი 105.69 კვ.მ. N15 ფართობი 490.93 კვ.მ. N16 ფართობი 205.44 კვ.მ. N17 ფართობი 54.43 კვ.მ. N18 ფართობი 5126.02 კვ.მ. N20 ფართობი 3.8 კვ.მ. N21 ფართობი 823.73 კვ.მ. N22 ფართობი 942.33 კვ.მ. N24 ფართობი 122.85 კვ.მ. N25 ფართობი 34.65 კვ.მ.
<p>ნისამართი: ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 23</p>				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019894419 , თარიღი 29/10/2019 17:00:15
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 31/10/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტა:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან NB16066065, , დამოწმების თარიღი: 22/04/2016 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- წერილი N33/116 , დამოწმების თარიღი: 08/04/2010 , ს.ს.ი.პ. "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- პრძინება N1-3/747 , დამოწმების თარიღი: 03/08/2010 , ს.ს.ი.პ. "საწარმოთა მართვის სააგენტო"

მესაკუთრები:

შპს "მიქსორი" , ID ნომერი: 205249827

მესაკუთრე:

შპს "მიქსორი"

აღწერა:

იპოთეკა

- 1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011040865 თარიღი 02/02/2011 18:52:47 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/02/2011
- 2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011590804 თარიღი 06/12/2011 10:13:51 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/12/2011
- საგაღმასახლო გირაუნობა: რეგისტრირებული არ არის
- ამოთქარა სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595; შესაკუთრე: შპს შიქსორი205249827; საგანი:შიპის ნაკვეთის ფართობი:44042.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები ; ამოთქის ხელშეკრულება N519688-6, დამოწმების თარიღი02/02/2011, სსიპ საქართველოს ოჯახის საზინსტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ამოთქარა სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595; შესაკუთრე: შპს შიქსორი205249827; საგანი:დამკვეთი ფართობი:44042.00 კვ.მ.და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები ; ამოთქის ხელშეკრულება N519688-14, რეესტრის ნომერი N111317679, დამოწმების თარიღი01/12/2011, ნოტარიუსი მ. გვაზია

ვაღლებულება

ყაღაღ/აკრბაღა:

რეგისტრირებული არ არის

მთაღაღთა რეესტრა:

რეგისტრირებული არ არის

"ფისიკური პირის მთერ 2 წაღმლე ვაღთ საკუთრბაღთა არსებული მატარაღლური აქციის რეაღმსაკისის, ბეროვე საგაღმასაღო წღის განმთღღღბაღმ 1000 ღარის ბნ მთე ღარბუღღბის ქრბის საბერბაღ მღღბისის საბუღბაღღო ვაღბისაღ ვაღბის ვღღღღღბარბა საბერბაღო წღის მბღღღღო წღის 1 ბრბაღმლე, ბის მბღბბბბბ ბღბბბბბბ ფისიკური პირი ბბბბ ვაღბა წარბღღღღს ღღღღღღბაღის საგაღმასაღო ბრბბბბ. ბღბბბბბბ ვაღღღღღღბის მბღღღღღღბაღთა წარბბბბბბბბ საგაღმასაღო საბბბბბბბბბბბბბბ, ბბბ ბწღღღს პბბბბბბბბბბბბბის საბბბბბბბბის საგაღმასაღო კოღღღღს XVIII ბბბბ მბღღღღბბ."

- ღოკბბბბბბის საბბბბბბბბის ვაღბბბბბბბ მბბბბბბბბბბ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბბბბბბბბ ვებ-გვერღღე www.napr.gov.ge;
- ბბბბბბბბის მბღღღღ მბბბბბბბბბბბბ ვებ-გვერღღე www.napr.gov.ge, წესბბბბბბბ ბერბბბბბბბბ საბბბბბბბბბბბბბბბ, ბჯბბბბბბის საბბბბბბბ და სააგენტოს ბბბბბბბბბბბბბ მბბბბბბბბ;
- ბბბბბბბბის ბღღღღღღღ საბბბბბბის ბღბბბბბბის მბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბ: 2 405405 ბნ პბბბბბბ მბბბბბბ ბბბბბბბბ ვებ-გვერღღე;
- კომბბბბბბბბის მბღღღღ მბბბბბბბბბბბბ ბჯბბბბბბის საბბბბბ ბბბბ ბბბბ 2 405405;
- საჯარო რეესტრის ბბბბბბბბბბბბბ მბბბბბ ბბბბბბ ბბბბბბბის მბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბ ბბბბ ბბბბბ 08 009 009 09
- ბღღღღღღღის საბბბბბბბბბბბბბბბბ საკაბბბბბბ ბბბბბბბბბბბბ მბბბბბბბბბბ ბღღღღღღღღ: info@napr.gov.ge

